# ბარრიკადი

**პოეზია ესთეტიკა პოლიტიკა**

№ 4 „ცისფერი ყანწების“ კვირეული გაზეთი. 5,000 მ.

მისამართი: თბილისი. რუსთაველის პროსპ. № 24 ტელეფ: 7—99

7 იანვარის 1922 წ.


## დეკლარაცია „ცისფერი ყანწები“-ს

„ცისფერი ყანწები“ ერთად ერთი სკოლაა პოეტების საქართველოში, რომელიც თავის თავს ამტკიცებს მხოლოდ ესთეტიურად. ისტორია ქართული ლიტერატურის, რომელიც მხოლოდ დაიწერება დაამტკიცებს, რომ ქართული ხელოვნება მხოლოდ მაშინ ყოფილა გამარჯვებული, წარსულში, როცა მას ჰქონდა საშუალება თავის საკუთარ მიზნების სამსახურის. პოეტიკა რუსთაველის ამიტომ წინ უსწრობს ევროპის იდეას ხელოვნების თვითმიზნობისას.

ეს ტეზისი რუსთაველს წამოყენებული აქვს ტეზისად და გამართლებული შემოქმედებით. „ცისფერ ყანწებ“-მა ამიტომ შეგნებულად დაისახეს მიზნათ ქრონოლოგით მხოლოდ ერთი ფრონტი პოეზიის, მარტო პოეზია იყო და არის საქართველოში ამ მხრივ განწირული—სხვა ყველაფრისთვის ხალხიც მრავალი იყო და გაკეთებული საქმეც. მაგრამ ჰქონდა გამართლება იმ ანომალიას, რომ ქართველმა მწერლებმა მეცხრამეტე საუკუნე გაბალეს ეროვნულად და მწერლობა საშუალებათ ეროვნულ ბრძოლისთვის, ადამ მიცკევიჩის სიტყვებით: სამშობლოს სიყვარულს ის გაიგებს, ვინც სამშობლო დაჰკარგა და გასაგებია სიყვარული ქართველ პოეტების, რადგან საქართველო მთელი ათეული საუკუნეების განმავლობაში დაკარგული იყო ყოველთვის. ამიტომ ექნება ყოველთვის გამართლება ქართულ მესიანიზმს, ეს არის დაწყევლა ერის, ეს შეიძლება იყოს ბედის ირონია, მაგრამ სულ დაიღუპება ის ერი რომელიც დღეს ვერ შექმნის კულტურას, რომელსაც ექნება უნივერსალური ხასიათი და რომელიც არ იქნება გამართლებული კაცობრიობის მასშტაბით.

ამიტომ მხოლოდ ველურებს შეუძლიათ უარყონ, რომ ქართველი პოეტი, მარტო თავის შობის ფაქტით არ იყოს პატრიოტი მაგრამ პოეზია აყვანილი ეტნოგრაფიიდან და ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც. ეს არის ტეზისი ცისფერი ყანწების.

არავის იმდენი არ უბრძოლია პოეზიის ემანსიპაციისთვის, არავის იმდენი არ უბრძოლია მაღალი პატრიოტიზმისთვის რამდენიც ყანწელებს. ჩვენ ბრძოლას ჰქონდა ლიტერატურული ხასიათი და ამ წრიდან გამოვიდა პირველად იდეა ირრედენტიზმის, რომლისთვისაც ამდენი დევნა გადავიტანეთ კიდეც საქართველოში. მეორე მხრივ პოეზიით შემორკალვა ვერ უძლებს იმ ატმოსფერულ გავლენას, რომელსაც ახდენს რევოლუცია. ჩვენ თვითონვე აშკარათ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიყავით და ვიქნებით რევოლუციის მხარეზე, ამ შემთხვევაშიც აქვს ამას ეროვნული გამართლება, რადგან ქართველი ხალხი ბუნებით არის რევოლუციის მხარეზე.

უცნაურია მიწის ძვრის ამპლიტუდით გაჭანებული სოციალური გადატეხა პირდაპირ აყენებს ამ საკითხს, და იქნებოდა სირცხვილი, რომ პოეტები, რომელნიც ყოველთვის იყვნენ ოპოზიციაში ძველ ცხოვრების წყობასთან; იყვნენ ბუნტარები ყოველ დროს ყოფილიყვნენ რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

ჩვენ არ ვიცით რა ფორმას მიიღებს რევოლუცია, ჩვენ არ ვიცით რა კომპრომისზე წავა ის—მაგრამ ჩვენთვის ფაქტია, რომ ხერხემალ მაგარი პროლეტარიატი ბრძოლას არ წააგებს, და პოეზია, კი ის ჰაერია, რომლითაც ის უნდა სუნთქავდეს. შესაძლებელია პირველ ბრძოლის დროს იყო გაუმართლებელი პრეტენზიები—თუნდაც პროლეტარულ პოეზიის შექმნისა, მაგრამ პოეზიასაც აქვს თავის შინაგანი დიალექტიკა და ის თვითონ მონახავს თავის ბუნებრივ სახეს. ეს არის პირველი დეკლარაცია რომელიც იწერება სტამბაში „ყანწელების“ შეკრებილი კონფერენცია საჭიროთ გამოაცხადებს თავის დეკლარაციას, რომელიც, ექნება მეტი არგუმენტაცია და მეტი სისტემატიკა.



## ალექსანდრ ბლოკ.

—ამ შემთხვევაში ეს იყო მართლა დიდი უბედურება აგვისტოსი. სიკვდილის უხერხულებას კიდევ ლოგიკურმა დაარქვა პატარა უბედურება აგვისტოსი, სულ რამე წლის წინ ინოკენტი ანენსკი ალექსანდრ ბლოკს უძახოდა ახალგაზრდების ჩემპიონს. ბლოკი მართალია, ბოლომდი დარჩა რუსეთის პოეტების ჩემპიონათ, მაგრამ როცა აგვისტოს პეტერბურგში დაიხრჩო ცინგით, უკანასკნელმა დიდმა ომმა, რევოლუციებმა და სამოქალაქო ომებმა სიკვდილს სრულიად დაუკარგეს ფასი—მაგრამ ბლოკის სიკვდილი ჯერ რუსეთში მაინც გამოუტირებელია—ეს იყო ყველაზე უფრო მოულოდნელი, უეცარი და უაზრო სიკვდილი—ისე როგორც სკრიაბინის, რუსის პოეტებს რუსეთში და ემიგრაციაში ჯერ არ უნახავთ სიტყვები შესაფერ პოეტზე, მაგრამ ზარი იქნება, ალბად, დიდი და ღირსეული. ალექსანდრ ბლოკი გაუთნოდა ანდრეი ბელისთან ერთად სიმბოლისტების მეორე თაობას—ამიტომ იყო რომ მისმა შემოქმედებამ მოინელა ფუტურიზმიც და ოქტომბრის რევოლუციაც. მისი გენია პუშკინის ჰარმონიით შეიცავდა ყველა შესაძლებლობას და ათი წელია მისი ხმა ყველაზე მაღალი იყო რუს პოეტებში. ბლოკი პოეზიაში შემოიყვანა ვლადიმერ სოლოვიოვმა, მისი ეგვიპტის თვალხილული მეხედვა „მშვენიერი ქალბატონი“-ს („Прекрасная Дама“) გაიხადა შემოქმედების იდეათ. ცხელი ეგვიპტის ცხვირ დამტვრეულ სფინქსებიდან გამოჩენილი მისტიური ქალი ბლოკმა შეიყვანა პეტერბურგის ნისლში და თოვლში და თავისთავად ფანტაზია—უკვე შეიქნა ფანტასმაგორია. აქ პოეტმა ჯიუტა ბევრი ტანჯვა. მისტიური და საოცრად მშვენიერი ქალბატონი პირველი პეროიდის მეორე წიგნში ხდება ბალაგანის მარიონეტკათ, დამტვრეული და დამთვრალი პოეტი, როგორც ვარსკვლავის მოცხველი ხიდზე გადაყუდებული მოელის შეხვედრას. როცა ამობრწყინდება ახალი ვარსკვლავი „Stella Maria“—აქედან ის გადადის ბაირონის და პუშკინის მერის ტრიუმფზე. ეს არის უნაზესი სიტყვები პოეზიაში, ამაზე მეტი ხმის დაწურვა წარმოუდგენელია. აქედან წარმოდგება ლეგენდა ბლოკის მოცარტობის.

Опять затепли свечи, укрась мое жилье.
Твои высоки плечи, безумие мое.

დოსტოევსკის და ანდრეი ბელის ხიბლი, პეტერბურგის ქარის მისტიკა თეჯის მხედარი, მკრთალი საცეცხლური და გველი ცხენის ქუსლით აწეწილებული, და გაგიჟებულ ქუჩაზე უმანკოება, რომელიც ტირილით ითხოვს შებრალებას. დილამდის ვერ უდარაჯა ის და ბოლომდი ვერ უდარაჯა მაინც ჰოლანდიელმა გაფურენილმა თავის ქალაქს. ბლოკმა პეტერბურგის ნისლი და თოვლის სითეთრე ლექსით დაიპყრო—ეს თითქმის სასწაულის ეკვივალენტია. ბლოკში იყო მოლოდინი დიდი რევოლუციის— ეს არის მის წიგნში „Нечаянная радость“—აქ არის უკვე პრესნის მიტინგი, სასწაულის და წინასწარმეტყველური ინტუიციით გრძნობდა ბლოკი კოსმიურ დაშლას—ამიტომ იყო, რომ მან სკრიაბინივით გამოიტირა მესიის მოწინავე და გამოაცხადა დიდ ნიშნით. ოქტომბერი ბლოკისთვის სრულიად არ იყო მოულოდნელი, ამიტომ არის, რომ მისი „სკვითები“ სოფიაკომის მანიფესტს აგავს—აქ არის ახალი რასის გამოძახება და ქადილი. მართლაც ვინ იქნება დამნაშავე რომ ბევრი სუსტი ხერხემალი გატყდეს ამ ბარბაროსულ მოხვევაში და ალერსში.

ეს ლექსი გაგრძელებაა „კულიკოვო პოლე“—სი— მონგოლების ცხენების თქარუნი და თათრის ხმალის ბრწყინვა.. მართლაც კიდევ ბევრს გააკვირვებს: „Мы обернемся своею азиатской рожей“... ციმბირის ტაიგა, მეფე და ერმაკი კატორღა და მეტლის კატორღის სიმღერა. გასუქებული ჰაკი ცხენი მიაფრენს იტლს:

„Покоя нет, покой нам только снится
сквозь кровь и пыль.
Летит, летит степная кобылица
и мнет ковыль,

არავის რუს პოეტებში არ ჰქონდა რუსული ხლისტური ბუნება და სლავიანური შინაგანი პუშკინის შემდეგ როგორც ბლოკს—ამიტომ შეიძლება ეს დენდი პოეტი ყველაზე უფრო ეროვნული იყოს უკანასკნელ რუს პოეტებში.

მაგრამ ბლოკს როგორც პუშკინს თავის მოცარტობა და პოეტური ჰარმონიულობა ნებას აძლევდა ყველა ქვეყნების და ყველა სიმღერების გაგების მისთვის ახლობელი იყვნენ გერმანელი მისტიკები, „Действо о святом Теофиле“, ესპანური კარმენსიტა და შეიძლება ითქვას, რომ „იტალიანურ ლექსებში“ ბლოკმა იტალიის დაუდგა ისეთივე ბრინჯაოს ძეგლი ლექსებით, როგორც დანტემ.

მისი ვენეცია, რავენა, მარია და სპოლეტო უფრო უნახავი შედევრია რუსეთის პოეზიისთვის რამდენათ გულდამწყვეტია ბლოკის სიკვდილი, ამას ის ანიშნებს, რომ იტალიანური ლექსები ბლოკის უკანასკნელი ლექსებია და „თორმეტში და სკვითებში ბლოკმა ნახა თავისი სრული ხმის აწევის საშუალება. ბლოკი საფლავში თოვლს არ გაუცილებია, ყველაზე ნაკლებ აგვისტოში ეგებოდა მას სიკვდილი. უკანასკნელმა ჟურნალებმა რუსეთიდან ჩამოიტანეს ეს სურათი, რომელიც იბეჭდება ჩვენ გაზეთში, ეს ნერონი პოეზიის, თმა გაშლილი და ჟესტიკულაციანი მონგოლური ტუჩებით ყველაზე ლამაზი რუს პოეტებში, ამ სურათში აგავს „ანათემა“-ს, სჩანს სიკვდილი დიდხანს უახლოვდებოდა პოეტს.

ფრა ფილიპო ლიპის ეპიტაფია, ეხლა თვითონ ბლოკს ერგება ალბად ვოლკოვის სასაფლაოზე.

ტიციან ტაბიძე.

### ალექსანდრ ბლოკ.

**კლეოპატრა.**

ერთი, მეორე, მესამე წელი
პანოპტიკუმი ღიაა მკრთალი.
მივდივართ როგორც ბრბო გაუზრდელი,
კუბოში გვიცდის ჩვენ დედოფალი.
ის ასვენია მინის კუბოში,
არც ცოცხალია ის და არც მკვდარი,
დაუღალავათ გაისმის ბრბოში
მასზედ სიტყვები შეუსადარი,
ის გაწოლილა ზანტი, გვიანი,
რომ დაიძინოს მარადი ძილით.
გველი ბოროტი და შხამიანი
მას გულს უწოვის უხმო წივილით.
მეც სამარცხვინო და მოცახცახე,
თვალების ქვევით ლურჯი რკალებით
მოვედი—დინჯი პროფილი ვნახე,
ვუცქერ სანთლის ტანს მოკრძალებით.
შენ გეტმასნება ცქერა ყოველი,
ხარ საოცნებო, ყალბი ზმანება.
და ვით სიმღერა დაუთოველი
მესმის დაფერფლილ ტუჩთა ბრძანება:
—შემოსეთ ვარდით ჩემი ობლობა.
ავია ჟამთა კორიანტელი.
ეგვიპტეს ვსცანი მე დედოფლობა,
ახლა ვარ მტვერი, მიწა, სანთელი.
—მე ეგვიპტეში, გვირგვინოსანი,
ვიყავი მხოლოდ მონა ურჩელი
ახლა კი როგორც მგოსანი მგოსანი
მეფურ დიდებით ვარ აღჭურვილი.
ახლა თუ ხედავ, რომ შენი ტრფობით
იწვის რუსეთი, ვით რომი შორი,
მე და ცეზარი აწეულ გრძნობით
დროთა წინაშე ვიქნებით სწორი.
მას ჩემი ქება, ალბათ, აწუხებს.
ოდნავათ მისი კანკალებს გული.
ქსოვილის თრთოლვით ის მიპასუხებს,
ნელი სიტყვებით ვარ გაგმირული:-
—ვქმნიდი ოდესმე სასტიკ გრიგალებს,
ახლა კი, ახლა ყველაზე მწვავეთ:
მე ავაცრემლებ ლოთ მგოსნის თვალებს
და მოვგვრი სიცილს ზარხოშ მეძავეს.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

## ყანწელების კონფერენცია

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისში გაიხსნა კონფერენცია ცისფერი ყანწელების. თავმჯდომარეობს გრიგოლ რობაქიძე, მდივანი შალვა აფხაიძე. პაოლო იაშვილი კითხულობს მოხსენებას ხუთი წლის მუშაობის შესახებ. მოხსენებამ და კამათმა გასტანა პირველი დღე. ამის შემდეგ გამოცხადდა კონფერენცია პერმანენტულად. ტიციან ტაბიძე კითხულობს მოხსენებას ყანწელების ტაქტიკის შესახებ, კონფერენცია იღებს მთელ რიგს რეზოლუციებისას რომელნიც დაიბეჭდება ცისფერყანწებში თავისდროს. მაშინ გამოქვეყნდება დეკლარაცია და მანიფესტი, შემდეგ და ეგრეთვე ორდენის სტატუტი. ეს საკითხები პირველ რიგში სდგას კონფერენციის წინ.

# მეორე წელი

# დახვეწილი ნაოჭი

1921 წლის ქართული პოეზია
მიმოხილვა

# სანდრო ცირეკიძე.

ალი არსენიშვილი.

## გრიგოლ რობაქიძეს.

საქართველოში გადავიწყებული სონეტის მოდევა...
ჩვენ გავაცოცხლეთ ის შემოქმედური სიტყვის მუცელში..
იმავ.. და ახლა გავაბრწყინეთ თეთრი კვიმატი
და ლექსებით იგივე მელანიზე და ხოხბ—მარია.
მომართავ ჩვენი, კარდინალი ჩვენი ორდენის
იქნები მარტო
შენი შუბლი უფრო მაღლა
ყველა ლექსებზე, რაც მე და შენ დავწერეთ.
გამტკბარი ლექსით.'
ქება შენ.
ნიცშე, დანტე, მილტონის ღმერთი
ყველა მეფეების ხმით თქმული
ლოცვა ღიდების:
შენი გვამის ძღვენისთვის.
თბილისი ილოცება, როცა შენ გინდა,
მიწის ძერა არის მისი მრავალი
რომ შენი ლექსი უკანასკნელი
შემოა ტყვინის—მატყრის მიწაზე ღიღის.
ხარ მარმარილო და კენტავრი.
ცილინდრი ძეგლად უფრო ჩვილად
საწყალი ცქერით,
როდესაც ეშმა ახალ ლექსს
და შენს ბაგეზე ალევს:
ჩვენის ტირილით გამეცნობიერეს:
უწმინდესს გრიგოლს.
უნეტარესს გრიგოლს.
უსაყვარლესს გრიგოლს.
უმბენო სინდისით, სიმკაცრით მღიღარს.
მე გვეკითხები: ვართ მართლები?
გეუბნებით: ჩვენი სიტყვა პირველია
მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ მოგვალოდობია
ალაზანის გადაღმა, რომ პოეტს დაემორჩილოთ,
რომელსაც გული აქვს ღმერთის და ცქერა
ყველა ვარსკვლავების.
მე ვხედავ მენადეებს: ისინი თბილისს
შემოვცვივნენ ყველა ქუჩები სავსეა მათით.
სიტყვა ღიღი: ელიან შენს გამოსვლას:
სიხარულით: სტირიან ქუჩებში მენადეები.
დავინახეს და გიცნობიან მენადეები:
იბოჭებენ: ცახცახებენ: იხმიურებიან.
შენ მოესწარი:
დღესასწაული შენ მოგიწყო
ჩვენმა ორდენმა.
შენ გვიბრძანე დირიჟორმა: ქალაქში.
იყო დიდ ღიდი.
ქალაქი სრულიად უბრალო, უმოძრაო
და გადამწვარი. მხოლოდ გადამწვარი.
ცას ასტყორცენ ფარშევანგები
მთავარ მოედანზე ბალიავანი გამართე.
დიასახლისი მოიყვანე მალიავანის—თეთრი
მალიავანით მოასვენე ყველა ლექსები:
ჩვენი შუბლები უბიწონი და უქორწინო.
პირველ დარაჯი დღესასწაულის
დანიშნე ვაცი—სარაცინი,
ოქროს ტროტუარით ქალაქს მოადგა
კაპიტანი და მოიყვანა სანტა მარია.
და ერთად ერთი მათრობელი მეფე ჩნდება
იყო ნაპირზე, ოქროთი და ვერცხლით
დაწინწკლული. ჩვენთან: ერთად ერთი
გახარებული მათრობელი.
და ერაყის ფრენი იყო ჩვენი მოსაწყობელ.
ფარშევანგებმა გზა გადაუხსნეს ცოდვან
მოსულ მეტოქეს: ეს არის ალეგ.
დაისში მან იცეკვა ბალიავანის წინ
ჩვენ ტაშის უკრავდით და ვიყავით
გახარებული რომ ეულოდეს დღესასწაულზე
არ დაგვავიწყდა ჩვენ ალეგს სიკვდილი.
შემდეგ იცოდე:
და ვიძღვნით დასამშვიდებლად ყველამ
ერთად ლოცვა:
გრიგოლის უწმინდესს,
გრიგოლის უნეტარესს,
უსაყვარლესს გრიგოლს.

პაოლო იაშვილი.

## პოეტის კარიერა.

სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა თვითმკვლელობის.
არა მიყვარს ვიყო ვექილი პოეტი ან აგაკი.
მე მიჩნევენია დაფილებში როგორც პოეტს.
სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა სიგიჟის.
არა მიყვარს ვიყო ბედნიერი როგორც გოეთე.
მე მიჩნევენია დაფილებში როგორც როლლინა.
სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა
გარდა ქლეჭისა.
დღევანდელ მალლარმეს მიჩნევენია ისევ ლადერაძე.
პოეტისთვის მე ვიწამე ეს კარიერა:
სიგიჟე, ქლეჭი და თვითმკვლელობა.
სალამი შენ— ტრიტუარის პოეტო!
შენ გვიჩვენე თვითმკვლელობის დინასტიას
და შენი გვარი რაინდული არის—ლოთრინცკი.
სამარცხვინოა პოეტისთვის ლიდი წიგნები,
დიდი სიცოცხლე.
უთუოდ მქონდა მოსახლე ფეხტის ავტორის.
მე ვესალმები დღენიკლულ პოეტებს.
მე მინდა კიდევ ჩამოვთვალო ეს სახელები:
ჟერარ დე ნერვალ, შოპენის როლლინა, ჩატერტონ,
ჟოლელ ლაფორგ, ლოტრეამონ, კრისტოფერ მარლო,
კლეისტ, გრიშა აბაშიძე.
კარიერა მარტოობის და ლოთობის:
დიდი ედგარი ნაძვის ქუჩაში მოგრილი და მობაკვლდებული—
და ესეც იყო—ბარიკადი.
მე მეჯავრება პოეტისთვის რაიმე ხელობა.
მისთვის ვიწამე სამუდამოთ ეს კარიერა:
სიგიჟე, ქლეჭი, ალკოჰოლი და თვითმკვლელობა—
სიკვდილი იყოს ამ ღელეში შენ მარიგებად.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

ვეში. სანდრო ცირეკიძე არ ღალატობს რეკვიემს, მაგრამ მთელი მისი შემოქმედება არის რეკვიემი. როგორც მეტერლინკის ლირიული ლექსები, ისაზენიან სანდრო ცირეკიძის მინიატიურები. ეს არის ნაპრალების პოეზია, მოშხიბლავი როგორც დედოფლის მშვენიერი განზრახვები. პოეტი მოდის ჩვენთან, როგორც მორცხვი ტრაგიული სურნელება და გვაბრუებს ჩუმი სიტყვებით. მისი „პეიზაჟი" მოთენთილია, როგორც გობელენი. ცირეკიძის სევდა იკვებება მოგონებებით, სიზმრებით და ბუნდოვანი სახეებით. მას უყვარს მარტოობა, ზამთარი, საღამო, მაგრამ ოთახის და ნანგრევების ჩარჩოში. მის პოემებში პირველად იწვინდება ქართული პროზა; ეს პროზა ფრთხილია, დელიკატური და სათუთი. ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმებმა თითქო გადასცეს თავისი იდუმალი ძალა სანდრო ცირეკიძეს. ქუთაისი, ბალახვანი, არლანი, რომელიც მოთქვამს გაქვავებულ ეტლზე, მთვარე, რომელიც ათეთრებს კუბოს ლუქნის დარაბაზე-ყველაფერი ეს მელანქოლიური სიუჟეტი არის მოცემული ამ პატარა და ცრემლიან წიგნში. ყველა პოემებში იქცევს ყურადღებას ერთი უცნობი ქალის თუ დედოფლის მოჩვენება. პოეტს ყავს თავისი ბეატრიჩე, რომელსაც ის ადიდებს დაბინდული ხმით.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

# იმპრესსიონიზმი

### შპენგლერის შეხედულება

დიდი ხანი არ არის, რაც გერმანულ ენაზე გამოვიდა წიგნი შპენგლერის: „დალუპვა დასავლეთის". ავტორს არ აქვს აზრად ევროპის „დალუპვა" ასახოს. მისი ფიქრი სხვაა: ევროპის კულტურამ დაასრულა რკალი თავის ვითარების და ეხლა ადგილი უნდა დაუთმოს კულტურის სხვა რკალს. ეს ხაზი გაჰყავს მას კულტურის ყოველ დარგში. საინტერესოა მისი შეხედულება ხელოვნებაზე. მისი აზრით თანამედროვე ხელოვნების რკალი იმპრესსიონიზმია. იმპრესსიონიზმმა ამოსწურა თავის თავი. ახალი სახე ხელოვნების ჯერ არა სჩანს. მაგრამ შევჩერდეთ თვითონ იმპრესსიონიზმე. რას წარმოადგენს იგი როგორც ესთეტიური პრინციპი?

„იმპრესსიონიზმი არის,—ავტორის სიტყვით,—მობრუნება ევკლიდური მსოფლიო—გზნების. იგი ეძებს თავის თავს მასში, რომ დაშორდეს რაც შეიძლება პლასტიურ ენას და მიუახლოვდეს ენას მუსიკალურს... შეიგზნების და მოიცემის შთაბეჭდილება საგანთა, რომელნიც ითვისებიან თვისუნით როგორც ფუნქციები მარტო ოპტიურად ველარ მისაწდომი ვრცეულობის. შინაგანი თვალით იჭრებიან სხეულნი და ინთქება ჯადო მათი ნივთიერი ზღვარების".

ხარაკტეროლოგიისათვის ავტორი შეიმაღლებს მიმართავს: ანტიკა და თანადროული ხანა. პრინციპი ანტიურობის არის საგანი საზღვრული,—პრინციპი თანამედროულ ხანის არის ვრცეულობა უსაზღვრო. ესთეტიურ ფიგურებში ეს პარალელი ასე იშლება: აპოლლო და ფაუსტი. ანტიურობას ახასიათებს სტატიკა საგნების,—თანადროულ ხანას დინამიკა ვრცეულობის. ეს სხვაობა განსხეულების ტეხნიკითაც ცნაურდება: ანტიკაში არის ფრესკო—ტეხნიკა,—თანადროულობაში არის ზეთის—ტეხნიკა: „ზეთ ფერითი—ტეხნიკა ფუძედ იდება იმ ხელოვნებას, რომელსაც სწადია ილუზიაცია სივრცის, საცა საგნები იკარგებიან". ეს ფორმულა შესაძლოა კიდევ ასე მოტრიალდეს: ანტიკა—„სული"—როგორც ფორმა ხორციელი ყოფის (არისტოტელეს),—თანადროულობა—„სული"—როგორც ფორმა სულიერი ყოფის(გოეტე).

ანტიურ განსხეულებაში არის გამოთქმა მხოლოდ ფუპერსონალი, მეცენარების, ფულის ვიტალობის. ამას ცხადყოფენ ანტიკის პლასტიური ფიგურები: იქ მასკებია უფრო ვიდრე ინდივიდუალურ კვეთილი პორტრეტები.

ანტიურ ადამიანებს ეშინოდათ საიდუმლოსი, რომელიც თვლემს საგანის ზედაპირის ქვეშ. მათი ფრესკო უძრაობს უკანამხარეს, რენესსანსი არ გრძნობს აქ სიღრმეს: მისი უკანამხარენი მხოლოდ—„Abschlüsse". ბაროკო კი საჭიროებს სიშორეს სულის შინა მუსიკისათვის.

ხარაკტეროლოგია კიდევ შორს მიდის: აი ფორმულაც:

ანტიკა: ტიტველი=სხეული=წამი=წინამხარე=მასსა=ქცეული.

მოდერნი: პორტრეტი=სივრცე=მარადობა=სიღრმე=მიქცევა=ქცევა.

იქ ქცეული,—აქ ქცევა.

ამას მოწმობს შემდეგი მოვლენაც: ბავშვის ასახვა არ იყო ჰელლადაში,—არც დედის (ორივე კი „ქცევაა"). აპოლლო ასახავს მხოლოდ ნაყოფიერებას: ფალლოსი ანიშნავს მომენტალურ აქტს. ჰელენური ქალი მცენარეული ნოყიერებაა მხოლოდ. ჰელენე უდრის ჰეტერას, ანტიგონა და კლიტემნესტრა უდრიან ამაზონებს, აფროდიტა კი ნატურის ნაკვეთია მხოლოდ.

თანადროულობაში კი სხვა ხაზია ფაუსტი ასახიერებს დედობის პრინციპს. მადონნა პირველ ყოვლისა დედაა და დედობის გამსახიერებელი.

ანტიკაში არის ურთიერთობა ფორმისა და მასალის. თაანადროულობა იცნობს ურთიერთობას ძალისა და მასსისას. მიქელ ანჯელომ პირველმა მოგვცა უკანასკნელი ურთიერთობა. მის ქმნილებაში ყოველთვის ძალისა და მასსის ომი იმართება. იგი სასტიკი მორგვებით შეჰკრავს ხოლმე სვეტებს ან და თავგამეტებით ჩაუშვებს მათ ნიშებში. მის ფასადებს აქვთ რაღაც ლელვილი და ვარდნილი. მან იცის დინამიკა სივრცის.

ამ ხაზის გამძაფრება კიდევ შეიძლება: რაფაელ, ლეონარდო, რემბრანდტ. პირველის ხაზი: სასტიკი სისწორით მოფარგლული, ანატომიურ ანალიზით გარკვეული, კარგათ გამართული ჯგუფები, რომლებიც მკაცრად იმჟებიან უკანასკნელისაგან. მეორის ხაზი: მონაცვალეობის ბრწყინვა და ნათლის, რბილი რკალები, სიღრმეში მიმქრალი ხაზები, ჯგუფები და მასსები სინათლის და ნახევრადის, რომლებითაც ცალკეული ფიგურები უკვე აღარ იხსნებიან. მესამის ხაზი: ფიგურები ინთქმებიან ფერადოვან შთაბეჭდილებათა საშრში: ისინი მოჩვენებიან მხოლოდ როგორც შტრიხები ფერითა ლაქების.

ამრიგად, ამ ხაზის გაყოლით, ყოველი საგანი იძირება უსხეულო ვრცეულობაში.

იმპრესსიონიზმი უსხეულო ვრცეულობაა.

თვითონ ფენომენოლოგია ხელოვნების რკალების ავტორის ორიგინალურად ესმის, ერთი რკალი მეორისაგან ისე განირჩევა, რომ, მაგალითად, ერთი რკალის მუსიკისა და პლასტიკის შორის უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე ორი სხვადასხვა რკალის პლასტიკის ან მუსიკის სხეულებათა შორის. ჰელენური ფრესკო, ბიზანტიური მოზაიკა, გოტიური ხატულობა, პერსპექტიური ზეთით—ხატულობა,—ყველა ესენი ფაზები კი არ არიან ერთი საერთო ხელოვნითი კულტურის, არამედ ფორმიდეალები განცალკევებულ ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ ხელოვნებათა.

ასეთია საზოგადოდ შპენგლერის შეხედულება.

ავტორის აზრი საინტერესოა. მეტადხარაკტეროლოგია დიდის ნიჭით არის მოხაზული. მხოლოდ ერთი დიდი ნაკლი აღსანიშნავია: თუ იმპრესსიონიზმი არის ახალი ევოლუციური აპერცეპცია სამყაროსი, იბადება კითხვა, თუ რით ან და რარიგ წარმოიშვა ასეთი ცვლილება. ეს ცვლილება კოსმიურ ხაზებში უნდა იყოს გაყვანილი. უამისოთ სხვადასხვა რკალთა ფენომენოლოგია დარჩება მხოლოდ როგორც უბრალო აღწერა.

კიდევ ერთი: სამწუხაროდ ავტორი იმპრესსიონიზმის განხილვის დროს მხოლოდ მუსიკასა და პლასტიკას ეხება. საჭირო იყო სხვა ხელოვნების განხილვაც: მაგალითად—პოეზიის. აქ იგი კიდევ უფრო მეტს მასალას ნახავდა.

ბ. რ.

## პოეზიის აკადემია.

„ცისფერი ყანწები" ს პოეტების ინიციატივით ზაფხულში ტფილისში ხელოვნების სასახლეში საქართველოს მწერალთა კავშირთან დაარსდა პოეზიის აკადემია. აკადემიის მოწყობნი, ასე ასაბუთებდნენ თავიანთ მიზანს; ამის შესახებ მაშინ გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ტიციან ტაბიძის წერილი: საქართველოში დღეს სრულებით არ არსებობს ლექსის კულტურა. არიან პოეტები და ამასთან სახელიანიც, რომელნიც სრულიად მოკლებული არიან ელემენტარულ ცოდნას ლექსისას, წარსულში საქართველოში მეტი იყო კულტურა ლექსის. ამას მოწმობს რუსთაველი და მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა „ჭაშნიკი". მარტო ერთი ფაქტი, რომ ვინმემ წერა კითხვა იცის, აძლევს საქართველოში უფლებას ავტორიტეტულად ილაპარაკოს პოეზიაზე. ასეთი ზედმეტი ხალხი უფრო ხშირად კრიტიკოსობს ჩვენებურ ხოლმეღლიანურ ქვეყნებში ეხლაც დარჩენილია ჩვეულება, რომ ლათინურ ლექსის ვერსიფიკაციას აწვეულიდენ ლიცეებში. დღეს თუ მივიგონებთ ჩვენ საქართველოში როგორი არის დაკვირვებული ფილოლოგია თუნდაც უნივერსიტეტებშიც, სადაც მეიქმნე სულ სხვანაირი ანტროპოლოგიური ტიპები ლინგვისტების, მაშინ აშკარაა, რამდენად საჭიროა ასეთი აკადემიის შექმნა რომელიც იქნება ლაბორატორია ლექსის, სადაც დამწყები და ან ახალგაზრდა პოეტები ისწავლიან ლექსის ტეხნიკას. ამის პრეცედენტი არის თითქმის ყველა ქვეყნებში.

პოეზიის აკადემიის მოწყობა საქართველოში ჯერ კიდევ დაწყების პროცესშია, აკადემიას ვერ მიეცა ისეთი სახე როგორც განზრახული იყო ინიციატორთაგან, მაგრამ არასდროს ტფილისში ასე მძაფრად არ დამუშავდა პოეზიის პრობლემები, როგორც პოეზიის აკადემიაში, თუ რამე ხდება დღეს ტფილისში გესტეტიკის მხრივ, ეს მხოლოდ ინიციატივით, პირველი გაჩენება კი მისცა პოეზიის აკადემიას ხაფხულის სეზონმა. საგულისხმო მხოლოდ იმის თქმა, რომ აქ წაკითხული იყო თითქმ 17 მოხსენება: მოხსენებიდან აღსანიშნავია: გრიგოლ რობაქიძის: „პოეტიკა ნოვალისის", „ჰენრიხ ჰეინე", „რიტმის პრობლემა", პაოლო იაშვილი „არტურ რემბო", ტიციან ტაბიძე „ლოტრეამონი", „შედრეკის პრობლემა", ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის საღამოს სიტყვები სიმბოლ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, „პოეზიის პრობლემა" (მოვარეული სანდრო ცირეკიძის) მოხსენებები წაიკითხეს: ტიციან ტაბიძემ და გრიგოლ რობაქიძემ „ალექსანდრე ბლოკ" ტიციან ტაბიძე და ს. რაფაელოვიჩი, პოეზიის პრობლემა უჭყელი გამხელაობით დაიცვა ანგარიტუვამ „ლეკადანსის საზღვართან". განზრახულია აგრეთვე ცალკე ახალი მოხსენებების რუსთაველის გაპიტეტის ლექსიკონის შედგენა და ანალიზი და ვაჟა ფშაველას სიმფონიათ გადაკეთება.

## ლექსიდან: ცხენი ანგელოსით.

დისერტაცია პოეტების მეფის სახელისთვის.
თავი მეოთხე.

გადმოფრენილი
ჰოლანდიელი
თუჯის მხედარი
ხინა პეტერბურგის.
ზანიაბაზში გატყდება ცხენი
და როგორც რუმბი
გასივდება თუჯის მხედარი
ახალ ვავენის წინ გაიგდებს ცხენი ანგელოსით.
შორი გზა არ ღლის
ვეშაპი ვერ ჰკლავს
დევნი უფრთხიან.
თეთრი მტრედებით
თეთრ ღრუბლებში
თეთრი გიორგი
ცხენი ანგელოსით.
... ესხატალოგია.
—ჩემს გზას შორეულს, პოეტს ჩამორჩენილს
საქართველოს ტრიალ სარკეში
გზა დამებნია.
გძელი ულვაშებით ქონდრის კაცები
სიონში მღერიან „არშინ მალალან"...
—აქ რომ სტიროდა ამირანი, ვინ გაამარა?
აქ რომ სტიროდა რუსთაველი, ვინ გაარუმა?
აქ რომ იბრძოდა სააკაძე ვინ დაიკავა?
—სწორი ხერხემალი—დროშის ტარი ქიმერიელთა;
სწორი ხერხემალი—დროშის ტარი თეთრი გიორგის:
ვინ გადატეხა.?.
ბებერი თესლი—სურნელება ჰერეთის ღვინის
ბებერი თესლი—ჰა უძირო და დაუშრეტი
ვინ ამოსწურა.?.
—ხრინწიანი ხმით აკვლებენ მრავალ ჟამიერს
ღვინო ჩამოდის ქამარ გახსნილს შარვალს განიერს
გრძელი ულვაშებით ქონდრის კაცები
სიონში მღერიან „არშინ მალალან"......

ტიციან ტაბიძე.

## ალლას

ნელი შრიალით შეფოთლილი თუ ვინმე მოჰქრის:
ცდილი ბელურა თავს ევლება ტანსარო ალვას.
ის ვერ იხილავს ჩემს ეზოში პატარა ალლას—
მე ველარ ვეტყვი უცხოსტუმარს „ნიკარტი ოქროს."

თეთრი ღიმილი აგონდება გადახრილ ქორედს.
ობლობას იხდის დედოფალა ნაჭრიან ჩითით.
გულდათუთქული ცქერის მესერის ცქრიალა ჩიტი
და სამუდამოთ გაფრინდება ნაღვლიან შორეთს.

ვაშორებ ოთახს. დასრიალობს სიკვდილის კვალი
ნინოს ხატის წინ დავიჩოქებ სათუთი მწირი!
მოვიკუტები ჩუმი ლოცვით ნელიეთ მცირე
და ვიშრობ ცრემლებს: საცოდავი ვით ჰქის თვალი.

გრიგოლ რობაქიძე.

## სახრჩობელიდან.

აზიის კახპავ! თარაქამა გიჯაჯრედინებს,
გიყნოსა თეძო და მსუქანი კაბის შრიალი.
მეწველ ჯიქნებს აბერებინებ ჯალალ-ედ-დინებს
და გამოშიგნულს შაგალდება შაჟრაშიანი.

ლაგეძებს ბულა და ყუდროში ვერსად დაგაბით
ბუნდრათ მომსკდარან ურდოები ვით კანჯარები:
ჩაგენგრა მკერდი დალახტული, რათა ნაკადი
და ხერხემალზედ შემოგლეჯა ნახანჯრალები.

დაობებული შენი თესლი ვერ დაიჭექებს,
ველარ აყვავდეს შენი ძვლები მტრით დაგროვილი,
და მონგოლისგან დაზანჯლული ძირს ჩაიჩოქებს
შენი ლამაზი, დაირმული, დაოქროვილი.

მოდგა და მოდგა დარუბანდით სისხლის დგანდგარი,
დატუშა რაყით სამოვარი შრატით შეცრუელი.
და ჩემი რასა—ულაყების ჯიში მაგარი,
სახრჩობელიდან იყურება განაცრებული!

გიორგი ლეონიძე

## მალაელი—დირიჟორი.

სდგას როიალი შავფრთიანი და მიუწვდომი,
როგორც ქიმერა მედიდური და ჯავიანი;
მაცდურობს რამპა იმართება სცენა ფანტომი;
მოდიან კრძალვით აქტიორები ნაირ—ნაირი.
მოველით მარტო სიბნელეში განწირულ კონცერტს:
ტორტმანობს შავათ მგლოვიარე, მუქი დარბაზი,
არ ემეტებათ ატირება მათ ჩვენთვის არცერთს,
ჯდება ყორანი როიალის მაღალ კარბაზე.
და ქანდირბაზი დაიუფლებს კლავიშებს ვიწროს;
მძიმე თვალებით გადმოგვხედავს ჩვენ—თანაბარებს.
შავი ბეჭდები თითებიდან სურს რომ წაიძროს
და თელებს შხამიანს ის ღიმილით შემოგვაპარებს.
ავი ოცნების კეისარი კიდევ აქ არი,
მაგრამ ყორანი შეიშმუშნის ფრთებს უნაპიროს.
დამპალი სახით მას ულიმის ჩემი ამქარი
ვეტყობ დარბაზის გადალახვას იგი აპირებს.
ის ლორწიანი როიალთან აქანდაკდება,
ვით დირიჟორი, თვითმპყრობელი, შოგვი მაცდური.
დღეს მანეკენებს ატირება არ დააკლდებათ
და მეც ბარბაცით გამიყოლებს მათი ფანდური.

კოლაუ ნადირაძე.

## სიონში.

გიორგი ლეონიძის ჯვარის წერამდე

როს შუაღამე გამაკილებს ლილ ფირუზებით,
დიდი სიონი სინანულით მომაგონდება.
შევალ მოწყენით: შემომხედება ძველი გოდება
და ქიმერები დატვირთულნი მაღალ კუზებით.
ვინ შეაჩერებს ამ ტაძარში იდუმალ მხედრებს!
ლოცვა პირველი გაფრენილი თუ ლედელი შხამით.
არის წამება და ცოდვების კვლავ ქორიშხალი
სანატრელ წრის ღვთის შობილი აქ შემახვედრებს.
კვის კედლებში ცხელი თესლი იფეტქდების
თითქოს ცაცხლდება მოგონება შორეულ სისხლის.
იზრდება ტანჯვა. ხატის ცქერით თვალებს დავისხლი,
დაწყევლილ ტფილისს გალილებას უხმოდ ვპირდები.
დგება გრიგალი და მირეკავს ცრემლების ფრდოს.
სიონის გუმბათს ეფინება სიგიჟე მლაშე.
ჩიქია მხოლოდ მატონები წმინდა ზედაშე
და მოციქული უეცარი—ანთება, სუროთ.
სანთლის წმინდინებს ატრიალებს თეთრი გრეხილი,
მოტირის წუთხებთ დაღლილ ტვინში მოლდმა დამშრალი.
ვინ გადათელა გაუვალი ტფილისის ფშანი
და საქართველოს სიამაყე გადატეხილი.
ირღვევა ტანი და სამყაროს ყოველი წესი,
ტაძარში ისევ იმართება ქვების ორგია.
გადირეხება ამ უფსკრულში წმინდა გიორგი
და სიმკრთალეში მეკარგება სახე ქრისტესი.

შალვა აფხაიძე

## ჩ ი ბ ი ს.

შენ ჩემო ძალლო, კარგო ჩიბის, ჩემო კეთილო
ერთად ვიყავით ერთი ფიქრის მცველი ძაღლები.
მაგრამ ოცნებას კარი ჰქონდა გამოკეტილი
და ეხლა ცალად მოგონებას ვემონებები.

შენ მოგიგონებს შორეული თბილი სტამბოლი,
კეთილის გულით გელოდება ქალი ბოსფორზე.
ალბად ოცნებობს სამშობლოში დარჩენილ ორზე,
სანამ არ იცის ეს ამბავი გადასტამბული.

იყავ პოეტი უნაზესი და ჭეშმარიტი.
ვიწრო ქვეყანა მეტად ჩქარა გადაირბინე.
ჩვენთვის უფრო ხარ საყვარელი შენ სამარეთი,
რომ პოეტებთან აირჩიე მუდმივი ბინა.

მე დავიტირე შენი ბედი როცა კვდებოდი.
ატირდებიან ეუხოეთში კეთილი დები.
ჩემს დაღუპვაზე მარტო შენ თუ ატირდებოდი
და ჩემს სიკვდილზე კი არ ვიცი ვინ ატირდება.

ნიკოლო მიწიშვილი.

# ქრონიკა.

**ხელოვნების სასახლე.** 17 დეკემბერს მოხდა გაერთიანებული კრება ქართველ ხელოვანთა კავშირის. კრების საგანი იყო მთავარი კომიტეტის რეორგანიზაცია და ხელოვნების სასახლის მოწყობა. კრებამ მიიღო ახალი კონსტიტუცია და კავშირების საბჭოებს დაევალა არჩევნების მოხდენა. მთავარ კომიტეტში არჩეულ იქნენ ყველა ხელოვნების დარგების წარმომადგენელნი: სდ. საქართველოს ახალ მწერალთა კავშირის საბჭოს [illegible]: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი. 26 დეკემბერს შესდგა მთავარ კომიტეტის პლენუმის კრება, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი თავჯდომარე კოტე მაყაშვილი, მოადგილე თავჯდომარის ტიციან ტაბიძე, ამხანაგი აკაკი ფალავა, წევრათ: ვახტანგ კოტეტიშვილი და ვ. რუხაძე.

**დოსტოევსკის ხელნაწერები.** პოეტი კოლაუ ნადირაძე აწარმოებს მოლაპარაკებას რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელთან დოსტოევსკის ხელნაწერების შეძენის შესახებ. როგორც ცნობა იყო, დოსტოევსკის ხელნაწერები სამოქალაქო ომის დროს ხელში ჩავარდნია ერთ პირს, რომელმაც ის ჩამოიტანა სოჭის რაიონში და ერთ დროს საქართველოს საზღვრებშიც იყო. რუსეთის და საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია ამ ხელნაწერების აღმოჩენაში, რადგან ამას აუწერელი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ხელნაწერებში [illegible] ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალებია.

**ქართველი მხატვრები პარიზში.** კონსტანტინოპოლიდან „ცისფერ ყანწებ-მა“ მიიღეს წერილი პოეტ ილია ზდანევიჩიდან, რომ ქართველი მხატვრები პარიზში განიცდიან საშინელ გასაჭირს ლადო გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე. ახალ მწერალთა კავშირის საბჭომ აღძრა კომისარის წინ შუამდგომლობა მათი დაბრუნებისათვის სამშობლოში ან და პარიზში დახმარებაზე. საბჭოს მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებდა გერონტი ქიქოძე, რომელსაც კომისარმა აღუთქვა დახმარება.

**პროლეტარულ პოეტების ასოციაცია.** ხელოვნების სასახლეში დაარსდა პროლეტარულ პოეტების ასოციაცია სანდრო ეულის თავჯდომარეობით. ასოციაციაში შედიან ყველა ქართველი პროლეტარული მწერლები. ხელოვანთა სასახლეში მოხდა პირველი საზეიმო გახსნა ასოციაციის. მიესალმა კომისარი დ. კანდელაკი, სიტყვები წარმოსთქვეს გ. საყვარელიძემ, სანდრო ეულმა. ამის შემდეგ ლექსები და მოთხრობები წაიკითხეს ასოციაციის წევრებმა.

**ნ. ბარათაშვილი რუსულად.** პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა გადათარგმნა რუსულად მთელი ნ. ბარათაშვილი. წიგნი გადაეცემა დასაბეჭდათ სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო გამომცემლობას და ერთ თვეში დაიბეჭდება.

**ჟურნალი „ფენიქსი“.** იანვარში გამოვა ახალგაზდა პოეტების ჟურნალი „ფენიქსი“ რომელშიაც მონაწილეობენ სრულიად ახალი ძალები.

**ჟურნალი „შვილდოსანი“.** ქუთაისში სანდრო ცირეკიძის რედაქტორობით განახლდა ჟურნალ „შვილდოსანის“ გამოცემა. ჟურნალში მონაწილეობენ ძველი თანამშრომლები.

**მხატვარი შალვა ქიქოძე.** პარიზიდან მიღებულ ცნობებით გარდაიცვალა ტუბერკულოზით ახალგაზდა მხატვარი შალვა ქიქოძე.

**დოსტოევსკის დღესასწაული.** სახალხო განათლების კომისარის დ. კანდელაკის ინიციატივით ტფილისში გაიმართება დღესასწაული თ. დოსტოევსკის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო. დღესასწაულის ცერემონიალს შეიმუშავებს განსაკუთრებული კომისია კომისარის თავჯდომარეობით. საქართველოს ახალ მწერალთა კავშირის საბჭო შემდეგ კვირას მართავს ხელოვანთა სასახლეში თ. დოსტოევსკის საღამოს: მოხსენებას წაიკითხავენ გრიგოლ რობაქიძე „ნიცშე და დოსტოევსკი“ ტიციან ტაბიძე „ლეგენდა დიდებულ ინკვიზიტორზე“.

**კოლაუ ნადირაძის წიგნი.** პოეტი კოლაუ ნადირაძე ამზადებს დასაბეჭდათ კრიტიკულ წერილების წიგნს „მანეკენები“. წიგნში მოთავსებული იქნებიან პორტრეტები: გრიგოლ რობაქიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ნ. ბარათაშვილის სანდრო ცირეკიძის, ნ. მიწიშვილის, გ. ლეონიძის ზოგიერთი ამ წერილებიდან დაიბეჭდებიან „ბარრიკადი“-ს შემდეგ ნომრებში.

**გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“** სახელმწიფო რუსთაველის დრამის თეატრში საჩქაროთ შეუდგნენ გრიგოლ რობაქიძის პიესის „ლონდა“-ს დადგმის სამზადისს. პიესას დასდგამს რეჟისორი ალ. წუწუნავა. მთავარ როლებს შეასრულებენ: დონაურის ქალი და მსახიობი დავითაშვილი. პიესა ლონდა გადაეცა სახელმწიფო გამომცემლობას დასაბეჭდათ. დაბეჭდამდე „ქიმერიონი“-ს პატარა დარბაზში ავტორი უკანასკნელად წაიკითხავს პიესას პოეტებისთვის.

**ს. დ. საქართველოს ახალ მწერლების კავშირი.** ოქტომბრის 10 ტფილისში მოხდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის კონფერენცია. კონფერენციაზე მოხდა განხეთქილება, რომლის შედეგი იყო ახალ მწერალთა კავშირის დაარსება. ახალ მწერალთა კავშირში თავს იყრიან სამოცამდე მწერალი და პოეტი და ამას გარდა კანდიდატებათ არიან ჩაწერილნი თითქმის ყველა ახალგაზდა პოეტები, კავშირის საბჭოში შედიან: გრიგოლ რობაქიძე გერონტი ქიქოძე პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე კ. ჭიჭინაძე, ი. სიხარულაშვილი. პრეზიდიუმში: გრიგოლ რობაქიძე, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე.

**ჟურნალი „ლაშარი“.** სახალხო განათლების კომისარმა ნება დართო და პირველ თებერვალს გამოვა ს-დ საქართველო ახალ მწერლობის კავშირის საბჭოს ყოველ თვიური ჟურნალი „ლაშარი“, სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა და ვახტანგ კოტეტიშვილი: ჟურნალში დაიბეჭდება პავლე ინგოროყვას გამოკვლევა ლაშარის მესხიანიზმის, მისივე მოხსენება „Au rebour“ თარგმანი: ტიციან ტაბიძის „ცხენი ინგლისით“ და გრიგოლ რობაქიძის „თბილისის ხერხემალი“.

**სანდრო ყანჩელის პიესა.** სანდრო ყანჩელმა დასწერა და რუსთაველის თეატრში დაიდგა პიესა „სიზმრები“, პიესამ სცენაზე კარგათ ჩაიარა და მოკლე დროში მეორეჯერ იდგმება.

**ნ. ბარათაშვილის აკადემიური გამოცემა.** სახალხო განათლების კომისარიატი ბეჭდავს სახელმწიფო გამომცემლობაში ნ. ბარათაშვილის აკადემიურ გამოცემას სამსონ ფირცხალავას რედაქტორობით, წიგნი ჯერ კიდევ შარშან იყო დამზადებული დასაბეჭდათ მიცემული, მაგრამ ბევრ მიზეზების გამო, მხოლოდ დღეს შეიქნა შესაძლებელი მისი დაბეჭდვა. წიგნში მოთავსებულია ყველა მასალები რაც ეხება ბარათაშვილს და მის ეპოქას.

**ქართველი პოეტები რუსულად.** პოეტმა ნიკოლაზ მიწიშვილმა რუსულად გამოსცა წიგნი ქართველი პოეტების. წიგნში მოთავსებულია ოცამდე ქართველი პოეტი უკანასკნელ ეპოქის დაწყებული გრიგოლ რობაქიძიდან. თარგმანებზე მუშაობდენ ს. რაფალოვიჩი, ო. მანდელშტამი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტრისტან მახაბელი, ს. გოროდეცკი, ტ. ვეჩორკა და სხვები. წიგნი ღირს 10 ათასი მანეთი და იყიდება „ფიგარო“-ს რედაქციაში.

**აღმოსავლეთის ინსტიტუტი.** განათლების კომისარიატთან დაარსდა აღმოსავლეთის ხელოვნების შესწავლისთვის ინსტიტუტი. ბინა და ბიბლიოტეკა ინსტიტუტის გადასცა მირზოევმა კომისარმა ინსტიტუტის დირექტორათ დანიშნა პავლე ინგოროყვა, რომელმაც მალე თავი დაანება, დირექტორათ დაინიშნა სამსონ ფირცხალავა. მალე შესდგება კოლეგია ინსტიტუტის და დაიწყებს მეცადინეობას. ბინის და ინვენტარის აწყობაზე მუშაობს პოეტი ს. აბაშელი.

**მთავარი ხელოვნების კომიტეტი.** განათლების კომისარიატთან დაარსებულია მთავარი ხელოვნების კომიტეტი მთელი რესპუბლიკისთვის. თავჯდომარეა გრიგოლ რობაქიძე, წევრები შალვა დადიანი, ჰ. გრინევსკი, მელიტონ ბალანჩივაძე, ალ. წუწუნავა, გრ. რცხილაძე, ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ი. ნიკოლაძე, ს. აბაშელი. გ. გაბაშვილი მდივანი შალვა აფხაიძე.

**ვაჟა ფშაველას გამოცემა.** რესპუბლიკის მთავარ ხელოვნების კომიტეტის სალიტერატურო რედაქციი: ს. აბაშელის, გრ. რცხილაძის და ვალერიან გაფრინდაშვილის ინიციატივით შეუდგა ვაჟა ფშაველას სრულ თხზულებათა გამოცემას. პირველი წიგნი გამოვა ამ თვეში და მას მოთავსებული იქნება ვაჟა ფშაველას პოემები.

**მხატვარი ვ. სიდამონ ერისთავი.** მხატვარმა სიდამონ-ერისთავმა დახატა და ხელოვანთა სასახლეს გადასცა პორტრეტები: დავით კლდიაშვილის, ტიციან ტაბიძის და კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის, მხატვარი ერისთავი მუშაობს სახელმწიფო თეატრების დეკორაციებზე. ჯერ არც ერთ გამოფენაში არ მიუღია მონაწილეობა, მალე აპირებს თავის საკუთარ გამოფენის მოწყობას.

**ქიმერიონი“.** 6 დეკემბრიდან გაიხსნა საქართველოს მწერალთა კავშირების და ცისფერ ყანწელების პოეტების კაფე-კლუბი „ქიმერიონი“. ქიმერიონის პატარა დარბაზში იმართება პოეზიის კონფერანსიები. კაფეს ადმინისტრაციამ მწერალთა კავშირებს სამი კვირის განმავლობაში გადასცა 20 მილიონი მანეთი.

**რევოლუციის პოეტები.**

ტიციან ტაბიძის და გიორგი ლეონიძის რედაქტორობით გამოვიდა წიგნი „პოეტები რევოლუციის“: წიგნში მოთავსებულია ქართველი პოეტები და უცხო ავტორების თარგმანები. წიგნი შეიცავს 200 ამდე გვერდს

**ქიმერიონში.** „ქიმერიონის“ პატარა დარბაზში ოთხშაბათობით სდგება ესთეტიური საღამოები, მხოლოდ პოეტებისთვის. პირველი მოხსენება წაიკითხა ტიციან ტაბიძემ „ჩვენი სეზონი“, სიტყვები წარმოსთქვეს: გრიგოლ რობაქიძემ პაოლო იაშვილმა, ლექსები წაიკითხეს ვალერიან გაფრინდაშვილმა, და სხვ. ახალგაზდა პოეტებმა, შემდეგი მოხსენება დანიშნულია გიორგი ლეონიძის „ყანწელების პოეტიკა“ და შალვა აფხაიძის „ყანწელების“ პროფილები.

## ახალი წიგნები:

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: „რევოლუციის პოეტები“ ტიციან ტაბიძის და გიორგი ლეონიძის რედაქტორობით, „სულელი“ დრამა ნ. შიუკაშვილისა, „[illegible]“ —მონოგრაფია ვასილ ბარნოვისა, „მეფის დალაქი“ ა. ლუნაჩარსკისა, „[illegible]“ ვერხარნიდან გადმოკეთებული ბებუთოვისა და მეიერჰოლდისა.

## მოქანდაკე ი. ნიკოლაძე

ქართულ დრამის თეატრისათვის, რომელსაც მიეცა რუსთაველის თეატრის სახელწოდება, მოქანდაკე ნიკოლაძემ დაამზადა შოთა რუსთაველის ბიუსტი. იგი უეჭველად უნდა ჩაითვალოს თვალსაჩინო მიღწევად შოთას სახის საიდუმლოების ძიებაში, რომელიც ამ ბოლო დროს აწუხებს მოქანდაკის ფანტაზიას, დიდი სიხარული მოელის ქართულ ხელოვნებას, თუ ნიკოლაძე მოსტაცებს ბედს [illegible] თავის ნიჭს ამ დიდ გამოცანის და როგორც მისმა მასწავლებელმა როდენმა ბალზაკს, დაუდგამს შოთას მარმარილოს ქანდაკებას.

## ფრანგი პოეტები.

„ყანწელები“-ს კონფერენციამ გადასწყვიტა ორი თვის განმავლობაში გამოვიდეს წიგნი „ფრანგი პოეტები“ წიგნში მოთავსებული იქნებიან პოეტები: შარლ ბოდლერი ტეოფილ გოტიე, ხოზე მარია ერედია, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, ლეონ დიერკსი, ჟიულ ლაფორგი, სტეფან მალარმე ტრისტან კორბიერ, ლოტრეამონი, პოლ კლოდელ, ფრანსის ჟამესი, ალბერ სამენი, გიიომ აპოლინერი, შარლ ვილდრაკი, მარსელინა დებორდ ვალმორ, ემილ ვერხარნი, ჟან მორეასი, მორის მეტერლინკი, ჟორჟ როდენბახი, ალბერ ჟირო, ანდრე სპირი. მარინეტი რემი დეგურმონი, წიგნს ექნება დატანებული ავტორების მასკები და ბიოგრაფიები.

**სენ-სანსის გარდაცვალება.**

ამ ორი კვირის წინად პარიზში გარდაიცვალა კომპოზიტორი შარლ კამილ სენ-სანსი, 86 წლის, ევროპიელ მუსიკის მეთაური. იგი თანამედროვე მეორე ნახევრის, გუნოს და ერთი შემქმნელთაგანია მე-XIX საუკუნის დიდი ოპერის სტილის. მას ეკუთვნის ოპერები „ჰენრიხ VIII“, „ეტიენ მარსელ“, „სამსონი და დალილა“ უკანასკნელი ოპერა დღემდე შედის ყველა მოწინავე საოპერო თეატრების რეპერტუარში. მან შექმნა აგრეთვე სიმფონიური პოემები: „დაიბოლის ცეკვა“ „[illegible]“ და კანტატა „პრომეთე“. „პრომეთეს“ თემა მის შემდეგ შეიქნა სკრიაბინისათვის ახალ მუსიკალურ განათების სფეროდ, რომელიც დღემდე აოცებს ხელოვანთ.

# ბიბლიოგრაფია

**ჟურნალი „ხომალდი“ № 1.**

ჟურნალი „ხომალდი“ გაგრძელებაა ჟურნალ „ცისარტყელა“-ს წინათ აჩვენებდა შეიძლება მეტ ფერს, ვინ გინდათ რომ აქ არ კითხულობთ, და რაც უფრო უარესია ზედმეტ ელემენტში ყველაზე უფრო ჟანიერ მწერლები ერევიან და ჟურნალს უკარგავენ იერს. აქ შეხვდებოდით ა. პაპავას, გურგენიძეს, რუხაძეს და კიდევ უფრო პიკანტურ სახელებს. ხომალდის დღეს თავის ბაქანიდან გადაუგდია ზედმეტი ბალასტი და უფრო დაწმენდილი სახე აქვს, რასაც რასაკვირველია აქვს მნიშვნელობა. ხომალდის ჯგუფის პოეტებიდან ყველაზე უფრო ირჩევა ს. აბაშელი. ჩვენ შარშან ვწერდით „ბარრიკადში“ რომ ს. აბაშელს ეტყობა მეტი ინტიმობა და ლექსის დახვეწა — უკანასკნელი მისი ლექსი „ყველაზე უკეთესია“ რაც მას დაუწერია აქამდე და უეჭველად არჩევს ყველაზე უფრო იმ პოეტებში, რომელნიც ბარრიკადებს იქით სდგანან. ს. აბაშელს შეუძლია და აწიც უშველის რომ მას აქვს ინტელექტუალობა შეუთან ერთად პოეზიის ნამდვილ საზღვრებს უახლოვდება თბილი მუზა. მის ლექსს აქვს ენერგია, მასაც აქვს ენერგია და გამძლეობა და რაც აღსანიშნავია მას არ აშინებს პოეზიის ახალი ფორმები. ამ ჯგუფის ახალგაზდათაგან ერთად ერთი ერჩევა ხ. ვარდოშვილი, მასაც ეტყობა ახალი გავლენა და რამდენადაც ის გაარღმავებს ამ მხრივ თავის ნიჭს, იმდენათ გაიმარჯვებს. ტუსიშვილს აქვს თავის ხმა, მაგრამ მისი მოტივი ისეთია პოეტმა აამღერა—ვაჟა ფშაველამ, რომ სამუდამოთ უნდა უკარგავდეს ხალისს. ალერტის კრიტიკული ვარჯიშობა აი ვკადაძის „კრისტომატიისთვის“, თუ გამოდგება, კიდევ კარგია, რომ ასეთი გულუბრყვილო კაცი კიდევ ნახულობს ხალისს წერისას ... „მათრახის“ იუმორით არის დაწერილი მეორე ბიბლიოგრაფია, რა უნდა ჰქნათ ტრადიცია ძნელია, ამნაირი ტონი „ხომალდის“ დააჯენს „მელზე“.

**2. ჟურნალი „ლომისი“.**

ჟურნალ „ლომისს“ აწერია სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემა, მხოლოდ ამიტომ ეხლით მას ბიბლიოგრაფიის საგნათ. „სრულიად“-ს რასაკვირველია დიდი ბრჭყალები აქვს. ყოველ შემთხვევაში ეს ჩიჩიკოვები მოხერხებულად ვაჭრობენ „მკვდარი სულებით“, ძველი მწერლები რომელნიც შეადგენენ მათ კაპიტალს და ოფიციალურ გამართლებას, აქ არ არიან. სამაგიეროთ აქ მოთავსებულია ლექსი ერთ მგოსანის, რომელსაც გიონ საყვარლობისათვის „ტფილის“-ს გარდა ლექსი არსად დაუბეჭდია. მაგრამ მჭონია თურმე გამართლება ამ მაღლუას და სიფრთხილეს. ეს ლექსი გამოამჟღავნებია ნაცისის მოტივების, რომლისაც ეხლა მარტო კუზიანები კითხულობენ ცრემლებით.

კუზიანების მოგვლეობას ჩვენში ბევრი ასრულებს.

მაგრამ ეს არაფერს შეამატებს გ. ტაბიძის სახელს

ალბად ამაში თვითონაც მალე დარწმუნდება.

რადგან მას არ აქვს პოეტური კონცეპცია და სახე და ტემპერამენტით კი ჩამორჩება თავის მეტოქეს გ. საგანელს.

მაგრამ ეს ავტორი უფრო გათავხედებულია, როცა ქართულ პოეზიას ეხება კარგია რასაკვირველია, როცა სამოუკები ამბობენ „გავხდით ‚ეროდიტები“-ო, რომ ეს გამასხარავება არ იყოს. შეიძლება საქართველოში მართლა დაიჯეროს ვინმემ მისი „ერუდიტობა“ მაგრამ საკმაოა ამ წერილის ტერმინოლოგიით გარჩევა, რომლის დრო აქ არ არის, რომ გამოვა კონფუზი. ავტორი ეხება რაღაც კაფეს პოეზიას, საწინააღმდეგოთ შეიძლებოდა ალბად ხაშების და ბურსაკების პოეზიაზე მითითება, მაგრამ ეს რა საჭიროა. სხვა ავტორები ღმერთმა შეინახოს და მათ შორის მისიც თითქოს რომელიც ავრცელებს აპოკრიფულ სიტყვებს სუდეიკინის, სუდეიკინის აზრი ქართულ მხატვრებზე დაიბეჭდა თავის დროზე „საქართველოში“

რაც შეეხება კოწია გამსახურდიას „ექსპრესიონიზმს და იმპრესიონიზმს“ ძალიან გამბედაობაა ასეთი წერილის დაბეჭდვა, ჩვენში კიდევ მოიპოვება ისეთი ხალხი რომ ამ ხრიკებში აბსურდები დაინახოს. ურჩევნია კიდევ დაწეროს პუბლიცისტური წერილი, რომელშიაც იქნებ ვინმეს უშველოს, ჟურნალში დაბეჭდილი სამარცხვინოთ დიდხანს რჩება. ეკუთვნის განიცდის ალბად სრულიად საქ. მწერალთა კავშირი ასეთ მეთაურების ხელში, უნდა რცხვენოდეთ იმათ ვისაც ეს ხალხი ეფარება, ეხლა ის აკლია, რომ მეორე სულელმა გამოუშვას მეორე ნომერი. გაკვრით უნდა ითქვას, რომ სახელი „ლომისი“ გამოჩნდა მის შემდეგ, რაც გამოცხადდა ჟურნალი „ლაშარი“ —ეს დაფარული პლაგიატია—მაგრამ ამას ეხლა ვინ ერიდება.

რედაქტორი: ტიციან ტაბიძე

გამოვიდა და იყიდება პოლიტიკურ განათლების გამოცემა წიგნი

„რევოლიუციის პოეტები“

ტიციან ტაბიძის და გიორგი ლეონიძის რედაქტორობით.

ტფილისში გამოდის დეკემბრიდან ყოველ კვირეული სალიტერატურო გაზეთი რუსულ ენაზე:

„ფიგარო“

რედაქტორი ნიკოლოზ მიწიშვილი.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 24 ტელ. 1—99.

1 თებერვლიდან გამოვა ყოველ თვიური ჟურნალი ს-დ საქართველოს ახალ მწერლობის კავშირის გამოცემა

ლ ა შ ა რ ი.

სარედაქციო კოლეგია: ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი.